# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 18

2015 წ. "03" 09

ქ.თბილისი

**სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისისათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებაზე უარის თქმის შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ $30^{1}$ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1.სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისს“ (ს/კ: 227770800) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე:

| № | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა | პროფესიული განათლების საფეხური |
|---|---|---|---|---|
| 1 | ექთნის თანაშემწე | ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 090551 | 86 | III |

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №4 სხდომის ოქმის მე-6 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3.პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე